ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №7

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.N 65 25. 05.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -**ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიზე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე.**
საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი- **ტარიელ ძაგნიძე.**

სხდომა 14-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტის შეტანის, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტის საწყისი საპრივატიზებო და წლიური საჯარო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: /ზვიადი კაპანაძე/

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის №-65.221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს:/მამუკა ნამიჭეიშვილი/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წელში განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

მომხს: / ტარიელ ძაგნიძე/

4. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა წარმოდგენილ საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტის შეტანის, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტის საწყისი საპრივატიზებო და წლიური საჯარო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილია შემდეგი ობიექტები:

1. ქ. ვანში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 80 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.25.227), საწყისი საპრივატიზებო საფასური 4000 (ოთხი ათასი) ლარი;

2.ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 25 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 25 კვმ შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.03.28.300), საწყისი საპრივატიზებო საფასური 2000 (ორი ათასი) ლარი;

ასევე სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით, აუქციონის ფორმით გადასაცემად წარმოდგენილია ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტი:

ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე ადმინისტარციული შენობის პირველ და მე-2 სართულზე არსებული 100 კვმ ფართი (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.07.27.109)), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასური 1000 (ათასი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის Nგ-65.221034 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით ვანის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის განესაზღვრა 580000 ლარი. განხორციელდა პროექტების განხილვა-დამტკიცება. საკრებულოს მიერ 2022 წლის 13 აპრილს მიღებულია განკარგულება გ-65.65221034. აღნიშნული განკარგულებით მიღებულ პროექტებში ცვლილების შეტანა გამოწვეულია 2021 წელს შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების პროექტებზე დამატების მოთხოვნით სოფლის წარმომადგენელთა მხრიდან. საკრებულოში წარმოდგენილია დანართები ცვლილებითა და სრული ჩამონათვალი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ძაგნიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წელში განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელობს რა სამსახურის დებულებით, ახორციელებს მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, არქიტექტურულ და სამშენებელო სამუშაოების დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, გარე ვაჭრობის მოწესრიგების, კეთილმოწყობის წესებსა და გარე იერსახის კონტროლს, ახორციელებს საკრებულოსა და მერიის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობას. მიმდინარე წელს დასრულდა გარდამავალი პროექტები 2020 წელს დაწყებული, კერძოდ:

1. ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, გადმოსული თანხა **357 233** ლარი. ხელშეკრულების საერთო ღირებულება 988 888 ლარი. (სამი ლოკაცია ა) ტაბიძის ქუჩა (ახალი დასახლება). ბ) სოლომონ 2 ქუჩა გ) გაღმავანი (დიასამიძე-ნაფეტვარიძის ქუჩა). აღსანიშნავია, რომ ამ ქუჩებზე მოხდა შესახვევების, ჩიხების და ყველა სამანქანო შესასვლელის კეთილმოწყობა.

2. სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სალხინო-ზენობნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) თანხით **542 546** ლარი. წარმატებით დასრულდა. პროექტის საერთო ღირებულებაა 622 546 ლარი.

3. ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში ზედავანი-ტყელვანი-ზედავანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (პროექტი არ იყო გარდამავალი მშენებლის დაუდევრობით ვერ მოხდა მისი დასრულება, მასზე გატარებულია სათანადო სანქციები) დასრულდა მიმდინარე წელს სხვა მშენებლის, კერძოდ შპს „ჭომა გზა“-ს მიერ.

4. ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია თანხით **740 000** ლარი (4 ლოკაცია). ა. კოპიტნარის უბანი. ბ. ლიფნარის უბანი. გ. მამასახლისები-ცინცაძეების უბანი. დ. მაღლაკელიძეები-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი. ამჟამად პრაქტიკულად დასრულებულია სამი ლოკაცია დარჩენილია მაღლაკელიძეები-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანში შავი საფარის მოწყობა.

5. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში (ნაწილობრივ სალხინოს ტერიტორიაზე) შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ორი ლოკაცია). ა. შენგელიების უბნის გავლით. ბ. ისრითის სტადიონიდან კაპატაძეები-საღრიშვილების უბნის მიმართულებით. თანხით **604 890** ლარი. პრაქტიკულად დასრულებულია ისრითის სტადიონიდან კაპატაძეები-საღრიშვილების უბნის მიმართულებით, ხოლო მოწყობილია საფუძველი და შავი საფარია დასაგები შენგელიების უბანში.

6. ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (3 ლოკაცია) ღირებულებით 319 646 ლარი. ა. თამარ მეფის 1 შესახვევი. ბ. რუსთაველის ქუჩის მე-3-ე შესახვევი. გ. ბაგრატის ქუჩის 1-ლი ჩიხი. დასრულებულია თამარ მეფის ქუჩის პირველი შესახვევი და ბაგრატის ქუჩის პირველი ჩიხი. 2-3 დღეში დასრულდება რუსთაველის ქუჩის მესამე შესახვევი.

7. ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში 6 ლოკაციაზე მიმდინარეობს შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 431 354 ლარი. ა. საბავშვო ბაღის უბანი, ბ. ავალიანების უბანი. გ. თვალავაძეების უბანი. დ. აბანოს უბანი N1. ე. კორძაძეების უბანი. ვ. აბანოს უბანი N2. მიმდინარეობს მუშაობა, მოწყოფბილია გზების საფუძვლები დასაგებია შავი საფარი.

8. ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია: ა. ზედა-ეწერტობანიერი კაცაძეების უბანი.. ბ. მეფარიშვილების უბანი. გ. მინაშვილი-ჯულაყიძეების უბანი. დ. მაჭუტაძეების უბანი. ე. კუშუბოური. თანხით 600 550 ლარი.

9. ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. მაღლაკელიძეები-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი (მეორე ეტაპი), ღირებულებით 300 457 ლარი.

10. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია: ა. ბზვანი. ბ. ბზვანი-ზედაბზვანის დამაკავშირებელი გზა . ღირებულებით 347 700 ლარი.

წარმატებით მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია 2021 წლის პროექტები:

1. დასრულდა ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. ა. გ.ტაბიძის ქუჩის შესახვევები. ბ. წმინდა ნინოს ქუჩის შესახვევები. ღირებულებით 350 623 ლარი.
2. დასრულდა სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 508 698 ლარი.
3. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია გარდამავალი 2021-2022 წლებში განსახორციელებელი 11 პროექტი გამოყოფილია 5 260 686 ლარი. აქედან 2021 წლის 1 718 900 ლარი, 2022 წლის 3 541 786 ლარი. პროექტები მიმდინარეობს.

სოფლის პროგრამა

წარმოდგენილია 74 პროექტი სხვადასხვა სოფლებში ჯამური თანხით 516 212 ლარი, სულ პროგრამით გათვალისწინებული 570 000 ლარი.

განახლებული რეგიონების პროექტით, რომელიც გულისხმობს ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და შემოსასვლელების კეთილმოწყობას გათვალისწინებულია სავარაუდოდ 5-დან 6 მილიონამდე თანხით. პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება წლების განმავლობაში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წელში განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.“

,,სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 27 მაისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.

(დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე